ოქმი:ო63. 63232892
თარიღი:16/10/2023

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

რიგგარეშე სხდომის

ო ქ მ ი N 11

ქ. სამტრედია. 11 ოქტომბერი, 2023 წელი.

2023 წლის 11 ოქტომბერს, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის, ნუგზარ ჯამბურიას, თავმჯდომარეობით ჩატარდა სამტრედიის მუნიციპალიტეტის V მოწვევის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ: ნუგზარ ჯამბურია, ვაჟა სტურუა, ნათია პაპავა, მანანა სირბილაძე, მერაბ უღრელიძე, ირაკლი მელაშვილი, გიორგი ლეჟავა, ტარიელ დვალიშვილი, ზაზა ადეიშვილი, დავით ჯანელიძე, გოჩა არველაძე, პაატა კოხრეიძე, ილია მჟავია, ჯონი თევზაძე, ბექა თევზაძე, ლიზა კრავეიშვილი, ჯონი ახობაძე, ბადრი შენგელია, მაია ტალაბაძე, ლელა ჩორგოლაშვილი, გრიგოლ ჩიგოგიძე, გიორგი გაგუა, კობა ძიძიგური, ემზარ შუბლაძე, დავით ნიკოლეიშვილი, აკაკი მინაშვილი, ავთანდილ თადუმაძე, ქეთევან კუტალაძე, ლაშა გრიგოლია.

ასევე სხდომას ესწრებოდნენ:

1. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, აპარატის უფროსი, ნორა იანიკოვი.

2. საკრებულოს აპარატის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, იურიდიულ საკითხებში, ნატო ჯულაყიძე.

3. საკრებულოს აპარატის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, საორგანიზაციო საკითხებში, ბეჟან გოგია.

4. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამტრედიის ცენტრი''-ს ბუღალტერი, თემურ ხუჭუა.

5. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი სპეციალისტი, დარეჯან ქავთარია.

6. ,,შ.პ.ს. სპორტული კომპლექსი-სამტრედია"-ს დირექტორი, ალექსანდრე

სტურუა.

7. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ხელბურთელთა კლუბი ,,სამტრედია“- ს დირექტორი, გიორგი ხელისუფალი.

8. ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები) გაერთიანების'' ბუღალტერი, ნინო რუხაძე.

9. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი, დავით ბაღდავაძე. სპეციალისტი, მაკა სეხნიაშვილი.

10. ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის ,,საინფორმაციო ცენტრი''-ს წარმომადგენელი, გიორგი მელქაძე.

11. შ.პ.ს. ,,სამტრედიის მაცნე''-ს ჟურნალისტი, ლევან გაბეჩავა.

12. ტელე კომპანია ,,ზარი''-ს წარმომადგენლები.

სხდომის თავმჯდომრე, მიესალმა საკრებულოს წევრებს, მშვიდობა უსურვა სრულიად მსოფლიოს მოსახლეობას და აღნიშნა, რომ:

- შუა აღმოსავლეთში საშინლად მძვინვარეს ომი, ქართველთა და ებრაელთა მეგობრობა საუკუნეებს ითვლის და სამტრედიის მუნიციპალიტეტის სახელით, თქვენთან ერთად, თანაგრძნობა მინდა გამოვხატო ამ საშინელი პროცესის და წუთიერი დუმილით, პატივი მივაგოთ იმ დაღუპულებს, რომლებიც ბრძოლის ველზე ეცემიან.

სხდომის თავმჯდომრემ, საკრებულოს წევრებს გააცნო, განკარგულების პროექტი ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 11 ოქტომბრის სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ''.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულომ, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ პუნქტის „ბ.ი“ ქვეპუნქტის და 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად , განიხილა სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 11 ოქტომბრის სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების საკითხი და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა

1. დამტკიცდეს სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 11 ოქტომბრის სხდომის დღის წესრიგი:

1. „სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის 2023 წლის მიზნობრივი სოციალური პროგრამის დამტკიცების შესახებ“, 2022 წლის 21 დეკემბრის N გ-63.63223559 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.უღრელიძე/

2. ,,შ.პ.ს. სპორტული კომპლექსი-სამტრედია"-ს მომსახურების ტარიფების დამტკიცების, 2023 წლის ბიუჯეტიდან დასაფინანსებელი სუბსიდიის, სამუშაო დღეებისა და დროის განსაზღვრის შესახებ, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 21 დეკემბრის Nგ-63. 632235524 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზ**ე.**

/მომხსენებელი: სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.უღრელიძე/

3. ''არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,საზოგადოებრივი

ჯანდაცვის სამტრედიის ცენტრი''-ს 2023 წლის პროგრამისა და პროგრამის განხორციელების ხარჯის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 21 დეკემბრის N გ-63. 632235515 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.უღრელიძე/

4. „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ხელბურთელთა კლუბი ,,სამტრედია"- ს 2023 წლის პროგრამისა და მისი განხორციელების ხარჯის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 21 დეკემბრის გ-63.632235521 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.უღრელიძე/

5. ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები) გაერთიანების'' 2023 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 21 დეკემბრის N გ-63.63223559 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.უღრელიძე/

6. „სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 21 დეკემბრის N80 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე .

/მომხსენებელი: სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.უღრელიძე/

7. საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების შესაბამისად, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, სამტრედიის მუნიციპალიტეტში 2024 წელს განსახორციელებელი 33 პროექტის მოწონების შესახებ.

/მომხსენებელი: სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარის მ/შ, დ. ჯანელიძე/

8. სამტრედიის მუნიციპალიტეტსა და ს.ს. ,,საფეხბურთო კლუბი სამტრედია"–ს შორის 2022 წლის 24 ოქტომბერს დადებული უძრავი ქონების თხოვების ხელშეკრულების, მხარეთა შეთანხმებით, შეწყვეტისათვის, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ.

/მომხსენებელი: სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ. სირბილაძე/

9. ქალაქ სამტრედიაში, რუსთაველის ქ. №95–ში მდებარე არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მასზე არსებული შენობა–ნაგებობების (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.57.033) და ქალაქ სამტრედიაში, თამარ მეფის ქ. №52ᲐᲐ–ში მდებარე არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მასზე არსებული შენეობა–ნაგებობის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.57.034) პირდაპირი განკარგვის წესით, თხოვების ფორმით, უსასყიდლო სარგებლობაში ს.ს. ,,საფეხბურთო კლუბი სამტრედია"–

სთვის გადაცემის შესახებ, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე.

/მომხსენებელი: სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ. სირბილაძე/

10. სხვადასხვა.

კენჭისყრის შედეგად (29 ხმით), მიღებულია დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

ფრაქცია ''ნაციონალური მოძრაობა"-ს თამჯდომარემ, ემზარ შუბლაძემ, დღის წესრიგის სხვადასხვა პუნქტის მიხედვით ითხოვა განცხადების გაკეთება, რაზედაც სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა თანხმობა.

დღის წესრიგის I საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ უღრელიძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის 2023 წლის მიზნობრივი სოციალური პროგრამის დამტკიცების შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 21 დეკემბრის N გ-63.63223559 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ. კერძოდ:

სოციალური ბიუჯეტი გაიზარდოს - 80 000 -ლარით; კერძოდ, გაიზარდოს:

1. მუხლი 25. მოწყვლადი ოჯახების ფინანსური დახმარება - 15 000 ლარით;

2. მუხლი 17. ერთჯერადი დახმარება განსაკუთრებულ შემთხვევაში - 20 000 ლარით;

1.მუხლი 1. მოქალაქეთა სამედიცინო მომსახურება - 45 000 ლარით;

საკრებულოს წევრებმა გამოთქვეს მოსაზრებები, კერძოდ:

აკაკი მინაშვილი-სოციალური ბიუჯეტი იზრდება - 80 000 -ლარით, მომართვიანობა არის და კიდევ გაიზრდება, ყოველთვის ხდება ამ მუხლის თანხის ზრდა ბიუჯეტიდან. არ შემიძლია არ გამოვეხმაურო პრემიერ-მინისტრის განცხადებას, რომლის მიხედვითაც ნახევარ მილიონ ადამიანს დაუძლევია სიღარიბე, თქვენ გჯერათ ამის? რადგან ნახევარ მილიონმა ადამიანმა დასძლია სიღარიბე, აღარ გადის ქვეყნიდან ადამიანები? თქვენ გჯერათ ყოველივე ეს?

მანანა სირბილაძე- არიან ადამიანები, რომლებიც სიდუხჭირის გამო მიდიან, მაგრამ არიან ადამიანები, რომლებიც მიდიან იმიტომ რომ კარგად იცხოვრონ.

ზაზა ადეიშვილი- მიმართვიანობა რატომ იმატებსო და სოციალური ხარჯები ზრდის მიმართულებით რატომ მიდისო? საშუალებები ჩნდება, რომ ამ მიმართულებით მეტი ყურადღება გამოვიჩინოთ ჩვენი მოსახლეობის მიმართ და მართალია დადებითი ტენდეციებია ჩვენს ქვეყანაში ეკონომიკაში, მაგრამ არ ისეა საქმე, რომ დასახმარებელი მოსახლეობა არ არსებობდეს. მიგრაციული პროცესები მარტივი არ არის.

ვაჟა სტურუა- წლის განმავლობაში სოციალური ბიუჯეტი დაგეგმილი იყო ექვს თვეზე, იყო 600 ათ. ლარი, შესაბამისად, არ იქნებოდა ეს მთელი

წლისთვის გათვლილი. ეს არ არის მარტო ერთჯერადი დახმარებები, არის საგარანტიო წერილები. ყველა მოქალაქის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული, რის საფუძველზეც ხდება სოციალური ბიუჯეტის გაზრდა. ჩვენ მაქსიმალურად ვცდილობთ ჩვენი მოქალაქეების მოთხოვნები დავაკმაყოფილოთ.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (29 ხმით), დამტკიცდა განკარგულება, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის 2023 წლის მიზნობრივი სოციალური პროგრამის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 21 დეკემბრის N გ-63.63223559 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

დღის წესრიგის I 1 საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ უღრელიძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი, შ.პ.ს. „სპორტული კომპლექსი-სამტრედია"-ს მომსახურების ტარიფების დამტკიცების, 2023 წლის ბიუჯეტიდან დასაფინანსებელი სუბსიდიის, სამუშაო დღეებისა და დროის განსაზღვრის შესახებ, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 21 დეკემბრის Nგ-63. 632235524 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ, კერძოდ: შემოსავლების გეგმაში 29,4 ათ. ლარის დამატებას, შესაბამისად ხარჯების ნაწილში საქონელი და მომსახურეობის მუხლში თანხის ზრდას 13,4ათ ლარით, არაფინანსური აქტივების ზრდას 16.0 ათ. ლარით. ზემოაღნიშნული თანხით მოსაწესრიგებელია შენობის ფოიე, შესაძენია ავეჯი და წყლის მიმწოდებელი ტუმბოები.

საკრებულოს წევრმა გამოთქვა მოსაზრება, კერძოდ:

აკაკი მინაშვილი-სათადარიგო სტადიონის მოპირკეთება მიმდინარეობს და მაინტერესებს თქვენ თუ მოგწონთ შესრულებული სამუშაო?

ალექსანდრე სტურუა- ჯერ არ არის დასრულებული, მაგრამ სამუშაო პროცესი მიმდინარეობს წესების დაცვით.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (29 ხმით), დამტკიცდა განკარგულება, „შ.პ.ს. „სპორტული კომპლექსი-სამტრედია"-ს მომსახურების ტარიფების დამტკიცების, 2023 წლის ბიუჯეტიდან დასაფინანსებელი სუბსიდიის, სამუშაო დღეებისა და დროის განსაზღვრის შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 21 დეკემბრის Nგ-63. 632235524 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ,

დღის წესრიგის 1П1 საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ უღრელიძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი, „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამტრედიის ცენტრი’’-ს 2023 წლის პროგრამისა და პროგრამის განხორციელების ხარჯის დამტკიცების შესახებ’’, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 21 დეკემბრის N გ-63. 632235515 განკარგულებაში ცვლილების შეტანის საკითხს. კერძოდ:

შრომის ანაზღაურების ფონდის შემცირებას 1,3 ათ. ლარით, შესაბამისად, სოციალური უზრუნველყოფის მუხლში თანხის გაზრდას 1,3 ათ ლარით. დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერიდან შრომის ანაზღაურების ფონდის შემცირებას 2,8 ათ ლარით შესაბამისად, არაფინანსური აქტივების მუხლის თანხის გაზრდას 2,8 ათ. ლარით. ასევე ითხოვს საკუთარი შემოსავლების და ხარჯების გეგმის გაზრდას 1,1ათ. ლარით.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (29 ხმით), დამტკიცდა განკარგულება, „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამტრედიის ცენტრი''-ს 2023 წლის პროგრამისა და პროგრამის განხორციელების ხარჯის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 21 დეკემბრის N გ-63. 632235515 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

დღის წესრიგის IV საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ უღრელიძემ, ბიუროს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი, „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ხელბურთელთა კლუბი ,,სამტრედია“- ს, 2023 წლის პროგრამისა და მისი განხორციელების ხარჯის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 21 დეკემბრის N გ-63.632235521 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.. კერძოდ:

ბიუჯეტის შემოსავლების სუბსიდიის გეგმაში 7,5 ათ ლარის დამატებას. ასევე ითხოვს მუხლობრივ ცვლილებას: არაფინანსური აქტივების ზრდის შემცირებას 1,3 ათ ლარით, შესაბამისად, ხარჯების ნაწილში საქონელი და მომსახურების მუხლში თანხის ზრდას 8,8 ათ ლარით. ზემოთ აღნიშნული ცვლილება გამოწვეულია 2023 წლის ახალი საშემოდგომო სპორტული სეზონის კალენდარით.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (29 ხმით), დამტკიცდა განკარგულება, „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ხელბურთელთა კლუბი ,,სამტრედია“- ს, 2023 წლის პროგრამისა და მისი განხორციელების ხარჯის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 21 დეკემბრის N გ-63.632235521 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

დღის წესრიგის V საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ უღრელიძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი, ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები) გაერთიანების'', 2023 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 21 დეკემბრის N გ-63.63223559 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ. კერძოდ:

2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის სუბსიდიით გათვალისწინებული შემოსავლების გეგმაში 85,0 ათ. ლარის დამატებას, შესაბამისად, ხარჯების ნაწილში საქონელი და მომსახურეობის მუხლში თანხის ზრდას 25,0ათ ლარით, არაფინანსური აქტივების ზრდას 60,0ათ. ლარით. აღნიშნავს რომ აღნიშნული თანხები მიმართული იქნება საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, იმერეთის რეგიონის სურსათის ეროვნული სააგენტოს სამმართველოს მიერ ჩატარებული ინსპექტირების საფუძველზე N3, N6, N11, N7, საჯავახოს, დ/გომის, ჯიხაიშის, N2 ბაგა-ბაღებში გადაუდებელი სარემონტო სამუშაოების შესასრულებლად და ავეჯის შესაძენად.

საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი.

საკრებულოს წევრმა გამოთქვა მოსაზრება, კერძოდ:

ავთანდილ თადუმაძე - რამდენი ბავშვი გყავთ დღეის მდგომარეობით?

ნინო რუხაძე - ყოვედღიური გამოცხადებით 800 ბავშვი, რეგისტრირებული 1100 ბავშვი.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (29 ხმით), დამტკიცდა განკარგულება, ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები) გაერთიანების'', 2023 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 21 დეკემბრის N გ-63.63223559 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

დღის წესრიგის VI საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ უღრელიძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 21 დეკემბრის N80 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ, საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის" 69-ე მუხლის, მე-80 მუხლის, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და 89-ე მუხლის შესაბამისად.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ:

- ზოგიერთი მუნიციპალიტეტისთვის უფლებამოსილებების ხელშეკრულების საფუძველზე დელეგირების შესახებ, საქართველოს მთავრობის 2023 წლის 23 იანვრის N147 განკარგულებით სამტრედიის მუნიციპალიტეტს საჯარო სკოლის მოსწავლეთა ტრანსპორტირების უზრუნველყოფის მიზნით გამოყოფილი თანხა გაიზარდა 49,5 ათ. ლარით და შეადგენს 653,5 ათ. ლარს. შესაბამისად გაიზარდოს **04 02 კოდი ზოგადი განათლების ხელშეწყობის** საქონელი და მომსახურების გეგმა - 49,5 ათ. ლარით.

„საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ", საქართველოს მთავრობის 2022 წლის 29 დეკემბრის N2475 განკარგულებაში შეტანილი 2023 წლის 4 სექტემბრის N1592 ცვლილების თანახმად, სამტრედიის მუნიციპალიტეტისათვის პროექტის მთლიანი ღირებულების ფარგლებში მიმდინარე წელს ასანაზღაურებელი თანხები განესაზღვრა 6,277.2 ათ. ლარის ოდენობით, მათ შორის პროექტის განხორციელებისთვის გამოყოფილი თანხა მთავრობით შეადგენს - 5,798.0 ათ. ლარს , ხოლო ადგილობრივი ბიუჯეტით თანადაფინანსება შეადგენს 479.2 ათ. ლარს. აღნიშნულიდან გამომდინარე შემცირდეს **კოდი 02 01 გზების, ხიდების, ბოგირების და ინფრასტრუქტურის სხვა ღონისძიებების დაფინანსების** არაფინანსური აქტივების ზრდის გეგმა მთავრობით - 1,0 ათ. ლარით.

„სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე", საქართველოს მთავრობის 2023 წლის 20 იანვრის N116 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ, საქართველოს მთავრობის 2023 წლის 3 ოქტომბრის N1764 განკარგულებით სამტრედიის მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი თანხა გაიზარდა **700.0 ათ. ლარით** და სულ განისაზღვრა 2 760.0 ათ.ლარით. შესაბამისად გაიზარდოს 02 01 კოდი გზების, ხიდების, ბოგირების და ინფრასტრუქტურის სხვა ღონისძიებების დაფინანსების არაფინანსური აქტივების გეგმა (1. გომის ადმ. ერთეულში სოფ. გომში ე.წ. „ნადირაძეების უბანში" ხიდის მოწყობა; 2. გომის ადმ. ერთეულში მდ. კაპიტონას მარცხენა მხარეს დაბლა ეწრისა და გომუხაყრუას სავალი გზის მიმდებარედ გაბიონის მოწყობა; 3. ტოლების ა.დ.მ. მდინარე ხევისწყალაზე ნაპირსამაგრის გაბიონის მოწყობა. 4.გორმაღლის ადმ. ერთეულის ბერძნისწყაროს დასახლებაში ხიდ-ბოგირის მოწყობა. 5. გამოჩინებულის ადმ.ერთეულში, ზემო და ქვემო აბაშის დამაკავშირებელ გზაზე გაბიონისა და სანიაღვრე არხის მოწყობა. 6. ნაბაკევის ადმინისტრაციულ ერთეულში, ნაბაკევი -კულაშის დამაკავშირებელი ხიდის გასწვრივ გაბიონი და მდ. ლოღობაზე ნინუაკუთხე-კულაშის დამაკავშირებელი ხიდ- ბოგირის და ნაბაკევის ცენტრში კლუბის მიმდებარედ ხიდ- ბოგირის მოწყობა.)

9 თვის შემოსავლების ანალიზიდან გამომდინარე გაიზარდოს შემოსავლების გეგმა: - 439.3 ათ. ლარით:

- დ.ღ.გ. - 301,2 ათ. ლარით;
- ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გრანტების გარეშე გაიზარდოს - 45,0 ათ. ლარით;
- ჯარიმები, სანქციები და საურავები - 78.1 ათ. ლარით.
- მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობელი - 4,6 ათ. ლარით;
- შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან - 2,2 ათ. ლარით;
- სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი - 0,2 ათ. ლარით;
- არაფინანსური აქტივების კლება - 8,0 ათ. ლარით.

შემცირდეს ხარჯვითი ნაწილი - 191.9 ათ. ლარით:

- 01 01 02 სამტრედიის მერიის საქონელი და მომსახურების გეგმა შემცირდეს - 25,0 ათ. ლარით, შრომის ანაზღაურება - 25,0 ათ. ლარით, არაფინანსური აქტივების ზრდა - 25,5 ათ. ლარით. სულ = 75,5 ათ. ლარით.
- ნაშთი - 56.4 ათ. ლარით.
- კოდი 01 02 04 კადრების მომზადება-გადამზადებასთან, კვალიფიკაციის ამაღლებასა და სტაჟირებასთან დაკავშირებული ხარჯის საქონელი და მომსახურების გეგმა შემცირდეს - 10,0 ათ. ლარით;
- კოდი 01 02 01 სარეზერვო ფონდი შემცირდეს - 50,0 ათ. ლარით.

სულ = 631,2 ათ. ლარით გაიზარდოს და მოწესრიგდეს:

- **04 04 კოდი სამტრედიის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების (ბაღები და ბაგა-ბაღები) მშენებლობის** არაფინანსური აქტივების გეგმა - 10,0 ათ. ლარით.
- **კოდი 05 01 02 05 შ.პ.ს. "სპორტული კომპლექსი სამტრედია"-ს** სუბსიდია გაიზარდოს - 29,4 ათ. ლარით;
- **კოდი 02 01 გზების, ხიდების, ბოგირების და ინფრასტრუქტურის სხვა ღონისძიებების დაფინანსების** არაფინანსური აქტივების გეგმა გაიზარდოს- 126,4 ათ. ლარით.

  (სულ =1 2,464.1) (იხ. დანართი N1);
- **კოდი 05 01 01 სპორტული ღონისძიებების დაფინანსება და სპორტული მოედნების მშენებლობა და რეკონსტრუქციის** არაფინანსური აქტივების გეგმა გაიზარდოს 12,0 ათ. ლარით (სულ =119,4) (იხ. დანართი N1);
- **კოდი 02 01 გზების, ხიდების, ბოგირების და ინფრასტრუქტურის სხვა ღონისძიებების დაფინანსების** არაფინანსური აქტივების გეგმა გაიზარდოს - 110,0 ათ. ლარით (გრიბოედოვის ქუჩაზე ასფალტო-ბეტონის საფარის მოწყობა);
- **კოდი 02 02 03 გარე განათების რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის** საქონელი და მომსახურების გეგმა - 55,0 ათ. ლარით და არაფინანსური აქტივების გეგმა - 5,0 ათ. ლარით;
- **კოდი 05 01 02 04 აიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის ხელბურთელთა კლუბი "სამტრედია"-ს** სუბსიდიის გეგმა -7,5 ათ. ლარით.

- **კოდი 04 01 ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები) გაერთიანების** სუბსიდიის გეგმა - 25,0 ათ. ლარით და ასევე, არაფინანსური აქტივების გეგმა - 60,0 ათ. ლარით, (სულ - 85,0 ათ. ლარით).

- **კოდი 02 03 03 სკვერების მოწყობა და კეთილმოწყობის სხვა ღონისძიებების** არაფინანსური აქტივების გეგმა გაიზარდოს - 110,9 ათ. ლარით. (მ/შ მომავლის პარკის თანადაფინანსება 2023 წელს - 25,0 ათ. ლარი და ჭავჭავაძის სკვერი - 60,9 ათ. ლარი, კაკაბაძის ქუჩაზე არსებული სკვერი - 25,0 ათ. ლარი);

- **კოდი 06 02 04 სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის ერთჯერადი ფინანსური დახმარებების** სოციალური უზრუნველყოფის გეგმა გაიზარდოს - 80,0 ათ. ლარით.

მუხლობრივი ცვლილებები:

- **კოდი 06 01 01 ააიპ საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამტრედიის ცენტრის** სუბსიდიის გეგმა შემცირდეს - 2,8 ათ. ლარით და შესაბამისად გაიზარდოს ამავე კოდის არაფინანსური აქტივების გეგმა.

- **კოდი 01 01 01 სამტრედიის საკრებულოს** არაფინანსური აქტივების გეგმა შემცირდეს - 0.6 ათ. ლარით და შესაბამისად გაიზარდოს ამავე კოდი საქონელი და მომსახურების გეგმა.

- **კოდი 05 01 02 04 ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის ხელბურთელთა კლუბი "სამტრედია"-ს** არაფინანსური აქტივების გეგმა შემცირდეს - 1,3 ათ. ლარით და შესაბამისად გაიზარდოს სუბსიდიის გეგმა .

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (29 ხმით), დამტკიცდა დადგენილება, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 21 დეკემბრის N80 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

დღის წესრიგის VII საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, დავით ჯანელიძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი, საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების შესაბამისად, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, სამტრედიის მუნიციპალიტეტში 2024 წელს განსახორციელებელი 33 პროექტის მოწონების შესახებ,, საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 26–ე მუხლის მე–2 პუნქტის ,,ა“–ქვეპუნქტის შესაბამისად. კერძოდ:

№	პროექტის დასახელება	პროექტის ღირებულება (ლარი)		პროექტის შესასრულებელი ვადები		შენიშვნა (რეგიონალური ფონდიდან მოთხოვნილი თანხა)
		სულ	მ.შ თანადაფინანსება	დაწყება	დასრულება	
	1	2	3	4	5	6
	სამტრედიის მუნიციპალიტეტის ეწრის ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფ. ახალსოფელში არსებული					

1	ბორანის სანაპიროს სამხრეთ მხარიდან გზის რეაბილიტაცია სოფ. ჭყვიშში გალაქტიონ ტაბიძის სახ. სახლმუზეუმამდე.	2,647,610.00	132,381.00	2024 წლის მაისი	2024 წლის ოქტომბერი	2,515,229.00
2	სამტრედიის მუნიციპალიტეტის ეწრის ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფ. ახალსოფელში ბორანის მიმართულებით I - II შესახვევებში სანიაღვრე არხებისა და ბოგირების კეთილმოწყობა	90,933.00	4,547.00	2024 წლის მაისი	2024 წლის ოქტომბერი	86,386.00
3	სოფ. დაფნარში ე.წ. ,,იმედი"-ს უბანში გზის ბეტონის საფარით მოწყობა	88,788.00	4,440.00	2024 წლის მაისი	2024 წლის ოქტომბერი	84,348.00
4	გომის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფ. გომნატეხების N7 ქუჩაზე ბეტონის საფარის მოწყობა	136,055.00	6,803.00	2024 წლის მაისი	2024 წლის ოქტომბერი	129,252.00
5	გომის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფ. დაბლა გომში N6 ქუჩაზე ბეტონის საფარის მოწყობა	184,497.00	9,225.00	2024 წლის მაისი	2024 წლის ოქტომბერი	175,272.00
6	გომის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფ. ზედა ეწერში N5 ქუჩაზე ბეტონის საფარის მოწყობა	402,402.00	20,121.00	2024 წლის მაისი	2024 წლის ოქტომბერი	382,281.00
7	გომის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფ. მთისძირში N3 ქუჩაზე ასფალტ-ბეტონის საფარის მოწყობა	34,633.00	1,732.00	2024 წლის მაისი	2024 წლის ოქტომბერი	32,901.00
8	სოფ. ზემო ნოღაში გზის ბეტონის საფარით მოწყობა	400,679.00	20,034.00	2024 წლის მაისი	2024 წლის ოქტომბერი	380,645.00
9	პეტრე იბერისა და მანჯგალაძის ქუჩების კვეთაზე ასფალტ -ბეტონის საფარის მოწყობა	41,646.00	2,083.00	2024 წლის მაისი	2024 წლის ოქტომბერი	39,563.00
10	სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფ. ხიბლარში ე.წ. მიქელაძეების ქუჩაზე არსებული ხიდ-ბოგირის მოწყობა	23,732.00	1,187.00	2024 წლის მაისი	2024 წლის ოქტომბერი	22,545.00
11	პაპავებისა და მაიაკოვსკის ქუჩების დამაკავშირებელ	32,454.00	1,623.00	2024 წლის	2024 წლის	30,831.00

	გრუნტიან გზაზე ასფალტ- ბეტონის საფარის მოწყობა			მაისი	ოქტომბერი	
12	გრიბოედოვის ქუჩაზე სამრეწველო ზონაში ასფალტ-ბეტონის საფარის მოწყობა	531,135.00	26,557.00	2024 წლის მაისი	2024 წლის ოქტომბერი	504,578.00
13	საჯავახოს ადმ. ერთეულში სოფ. ჭოგნარის ასახვევში (კანდელაკების ასახვევი) ასფალტ -ბეტონის საფარის მოწყობა	52,248.00	2,613.00	2024 წლის მაისი	2024 წლის ოქტომბერი	49,635.00
14	გომის ადმ. ერთეულში დაბლა გომი-ცივწყალას გზაზე (დობირო) ბეტონის საფარის მოწყობა	275,826.00	13,792.00	2024 წლის მაისი	2024 წლის ოქტომბერი	262,034.00
15	სოფ. ნიგორზღვაში ე.წ. ,,ნაკალოები"-ს უბანში გზის მოგასფალტების სამუშაოები.	207,403.00	10,371.00	2024 წლის მაისი	2024 წლის ოქტომბერი	197,032.00
16	სოფ. დიდი ჯიხაიშში N39 ქუჩის პირველი შესახვევში ასფალტ-ბეტონის საფარის მოწყობა	122,904.00	6,146.00	2024 წლის მაისი	2024 წლის ოქტომბერი	116,758.00
17	სოფ. დიდი ჯიხაიშში N4; N5; და N41 ქუჩის დარჩენილი ნაწილის მოასფალტება	362,911.00	18,146.00	2024 წლის მაისი	2024 წლის ოქტომბერი	344,765.00
18	სოფ. დიდი ჯიხაიშში N23 ქუჩის დარჩენილი ნაწილის მოასფალტება	198,050.00	9,903.00	2024 წლის მაისი	2024 წლის ოქტომბერი	188,147.00
19	სოფ. დიდი ჯიხაიშში N20 ქუჩის გაგრძელება და პირველ შესახვევში, ასევე N19 ქუჩაზე ასფალტ-ბეტონის საფარის მოწყობა	334,777.00	16,739.00	2024 წლის მაისი	2024 წლის ოქტომბერი	318,038.00
20	სოფ. ხუნჯულაურში N6 ჩიხში და N7 ქუჩაზე ასფალტ-ბეტონის საფარის მოწყობა	67,057.00	3,353.00	2024 წლის მაისი	2024 წლის ოქტომბერი	63,704.00
21	ლაშა თევზაძის ქუჩაზე N1 ბინის ფასადის რეაბილიტაცია	255,000.00	12,750.00	2024 წლის მაისი	2024 წლის ოქტომბერი	242,250.00
22	ლაშა თევზაძის ქუჩაზე N3 ბინის ფასადის რეაბილიტაცია	260,000.00	13,000.00	2024 წლის მაისი	2024 წლის ოქტომბერი	247,000.00
23	რუსთაველის ქუჩაზე N38 ბინის ფასადის	250,000.00	12,500.00	2024 წლის მაისი	2024 წლის ოქტომბერი	237,500.00

	რეაბილიტაცია					
24	ბ. კრავეიშვილის ქუჩაზე N2 ბინის ფასადის რეაბილიტაცია	240,000.00	12,000.00	2024 წლის მაისი	2024 წლის ოქტომბერი	228,000.00
25	ჭავჭავაძის ქ. N3 ბინის ფასადის რეაბილიტაცია	245,000.00	12,250.00	2024 წლის მაისი	2024 წლის ოქტომბერი	232,750.00
26	ჭავჭავაძის ქ. N4 ბინის ფასადის რეაბილიტაცია	245,000.00	12,250.00	2024 წლის მაისი	2024 წლის ოქტომბერი	232,750.00
27	ძმები ნინუების ქუჩაზე N11 ბინის ფასადის რეაბილიტაცია	250,000.00	12,500.00	2024 წლის მაისი	2024 წლის ოქტომბერი	237,500.00
28	ძმები ნინუების ქუჩაზე N13 ბინის ფასადის რეაბილიტაცია	200,000.00	10,000.00	2024 წლის მაისი	2024 წლის ოქტომბერი	190,000.00
29	ფიროსმანის ქუჩის დასაწყისიდან მერაბ კოსტავას ქუჩის გავლით წინსვლის პირველი შესახვევის ბოლომდე ახალი კაპიპიტალური რკინა-ბეტონის მონოლითური არხის მოწყობა	129,807.00	6,491.00	2024 წლის მაისი	2024 წლის ოქტომბერი	123,316.00
30	ბახტაძის ქუჩაზე საყანე ფართობებთან მისასვლეილი გზის მოხრეშვა	42,434.00	42,434.00	2024 წლის მაისი	2024 წლის ოქტომბერი	00,00
31	სანავარდოს ტერიტორიაზე კერძოდ ნავთობაზის აღმოსავლეთ მხარეს საყანე ფართობებში გზის მოხრეშვის სამუშაოები	38,281.14	38,281.14	2024 წლის მაისი	2024 წლის ოქტომბერი	00,00
32	სოფ. დაბლა გომში ე.წ. შავღელეზე ხიდ-ბოგირის სარეაბილიტაციო სამუშაოები	42,165.20	42,165.20	2024 წლის მაისი	2024 წლის ოქტომბერი	00,00
33	სამტრედიაში დ. აღმაშენებლის მე-3 ჩიხის მიმდებარედ საყანე ფართობებთან მისასვლელი გზის მოხრეშვის, ბოგირის მოწყობისა და მდ. ოჭოფაზე ხიდ-ბოგირის მოწყობა	55.640,68	2,782.00	2024 წლის მაისი	2024 წლის ოქტომბერი	52,858.00

საკრებულოს წევრებმა გამოთქვა მოსაზრება, კერძოდ:

გრიგოლ ჩიგოგიძე - რატომ არ მიმდინარეობს სარეაბილიტაციო სამუშაოები გორმაღალში?

ვაჟა სტურუა - ეს არის პროექტების არასრული ჩამონათვალი, ამის გარდა, არსებობს პროექტები, რომლებიც მოწონებულია, მათ შორისაა სოფელი

გორმაღალი.

ემზარ შუბლაძე - სოხუმის ქუჩის ღამის განათება რატომ არ არის ამ პროექტში?

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ეტაპობრივად მიმდინარეობს სამუშაოები.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (29 ხმით), დამტკიცდა განკარგულება, საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების შესაბამისად, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, სამტრედიის მუნიციპალიტეტში 2024 წელს განსახორციელებელი 33 პროექტის მოწონების შესახებ.

დღის წესრიგის VIII საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მანანა სირბილაძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო . განკარგულების პროექტი, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტსა და ს.ს. ,,საფეხბურთო კლუბი სამტრედია"-ს შორის 2022 წლის 24 ოქტომბერს დადებული უძრავი ქონების თხოვების ხელშეკრულების, მხარეთა შეთანხმებით, შეწყვეტისათვის, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ".

მომსხენებელმა აღნიშნა, რომ:

სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერს მიეცეს თანხმობა, რომ მხარეთა შეთანხმებით, შეწყვიტოს სამტრედიის მუნიციპალიტეტსა და ს.ს. ,,საფეხბურთო კლუბი სამტრედია"-ს შორის 2022 წლის 24 ოქტომბერს დადებული უძრავი ქონების (ქალაქ სამტრედიაში, რუსთაველის ქ. №95-ში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მასზე არსებული შენობა-ნაგებობების (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.57.033) და ქალაქ სამტრედიაში, თამარ მეფის ქ. №52ᲐᲐ-ში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მასზე არსებული შენეობა-ნაგებობის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.57.034) თხოვების ხელშეკრულება.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (29 ხმით), დამტკიცდა განკარგულება, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტსა და ს.ს. ,,საფეხბურთო კლუბი სამტრედია"-ს შორის 2022 წლის 24 ოქტომბერს დადებული უძრავი ქონების თხოვების ხელშეკრულების, მხარეთა შეთანხმებით, შეწყვეტისათვის, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ".

დღის წესრიგის IX საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მანანა სირბილაძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო . განკარგულების პროექტი, ,,ქალაქ სამტრედიაში, რუსთაველის ქ. №95-ში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მასზე არსებული შენობა-ნაგებობების (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.57.033) და ქალაქ სამტრედიაში, თამარ მეფის ქ. №52ა-ში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მასზე არსებული შენობა-ნაგებობის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.57.034) პირდაპირი განკარგვის წესით, თხოვების ფორმით, უსასყიდლო სარგებლობაში, ს.ს. ,,საფეხბურთო კლუბი სამტრედია"-სათვის გადაცემის შესახებ, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე",

მომსხენებელმა აღნიშნა, რომ:

მიეცეს თანხმობა სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერს, რომ ს.ს. ,,საფეხბურთო კლუბი სამტრედიას" (საიდენტიფიკაციო კოდი-438735727) პირდაპირი განკარგვის წესით, თხოვების ფორმით, უსასყიდლო სარგებლობაში გადაცეს

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება:

ა) ქალაქ სამტრედიაში, რუსთაველის ქ. №95–ში მდებარე 34693 კვ.მ. არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე არსებული შენობა–ნაგებობები (№1, განაშენიანების ფართი 1172 კვ.მ. №2, განაშენიანების ფართი 95 კვ.მ. №3, განაშენიანების ფართი 99 კვ.მ. №4, განაშენიანების ფართი 13 კვ.მ. №5, განაშენიანების ფართი 16 კვ.მ.), მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.57.033.

ბ) ქალაქ სამტრედიაში, თამარ მეფის ქ. №52ᲐᲑ–ში მდებარე 5930 კვ.მ. არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე არსებული შენობა–ნაგებობა (№1, განაშენიანების ფართი 1068 კვ.მ.), მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.57.034.

2. პირველ პუნქტში მითითებული უძრავი ქონება, ს.ს. ,,საფეხბურთო კლუბი სამტრედია''-ს მიერ გამოყენებულ უნდა იქნას მისი მიზნებისა და ამოცანების განხორციელებისათვის.

3. პირველ პუნქტში მითითებული უძრავი ქონების სარგებლობის ვადად განისაზღვროს 02 (ორი) წელი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (29 ხმით), დამტკიცდა განკარგულება, ,,ქალაქ სამტრედიაში, რუსთაველის ქ. №95–ში მდებარე არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მასზე არსებული შენობა–ნაგებობების (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.57.033) და ქალაქ სამტრედიაში, თამარ მეფის ქ. №52ა–ში მდებარე არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მასზე არსებული შენობა–ნაგებობის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.57.034) პირდაპირი განკარგვის წესით, თხოვების ფორმით, უსასყიდლო სარგებლობაში, ს.ს. ,,საფეხბურთო კლუბი სამტრედია“–სათვის გადაცემის შესახებ, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე",

დღის წესრიგის X (სხვადასხვა) საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, ემზარ შუბლაძემ გააკეთა განცხადება.

- რადგანაც თქვენ უმრავლესობა ხართ და ხელისუფლებაში ხართ, არ ნიშნავს იმას რომ უპატივცემულობა გამოხატოთ თქვენი კოლეგების მიმართ, სახალხო დღესასწაულ ''ნიკოობა'-სთან დაკავშირებით, საუბარია დამოკიდებულებაზე და არა მაისურებზე. მაისურები უნდა ყოფილიყო საკრებულოს ყველა წევრისთვის, შეხედულებების გათვალისწინების გარეშე.

ამით, დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოწურულია.

სხდომის მდივანი: ირმა გოგია.

ნუგზარ ჯამბურია

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი